მარიამ მორჩილაძე I საბა ტაველიშვილი
საქართველოს უნივერსიტეტი
mariammorchiladze26@gmail.com I saba.tavelishvili@ug.edu.ge

სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ეკონომიკის გამოწვევები: ჰოლანდიური დაავადება

აბსტრაქტი

XX საუკუნეში ნავთობი მსოფლიო ეკონომიკაში სტრატეგიული ნედლეული გახდა, რის შედეგადაც სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ეკონომიკა დამოკიდებული გახდა ენერგორესურსების ექსპორტსა და მისგან მიღებულ შემოსავლებზე.

1995-2024 წლების სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების შემოსავლების ანალიზით ირკვევა, რომ 60%-ზე მეტი ენერგორესურსების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალს უკავია. ანალიზმა აჩვენა, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ეკონომიკური სტრუქტურა საგრძნობ ცვლილებებს არ განიცდის, გამონაკლისია მხოლოდ გაერთიანებული არაბული საამიროები.

სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში ეკონომიკური დივერსიფიკაციაც მნიშვნელოვანი საკითხი გახდა. ამიტომ შეიქმნა ენერგოსექტორთან დაკავშირებული ინდუსტრიული სფეროები, ყურადღება დაეთმო სამშენებლო სექტორს, დამატებით შეიქმნა ეროვნული განვითარების სტრატეგიები და ეკონომიკური ხედვები, რომლებიც მიზნად ისახავდა მომსახურების სფეროს განვითარებასა და ექსპორტის დივერსიფიკაციას. რაც შეეხება ეროვნულ ხედვას, მთავარი აქცენტი გარემოს დაცვასა და ადამიანის სოციალურ განვითარებაზე გაკეთდა.

სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ეკონომიკები სამხედრო კრიზისის ან საერთაშორისო შოკების ფონზე მოწყვლადია. ირან-ერაყის ომის (1980-1988 წწ.) დაწყებამდე, ერაყი, ორგანიზაცია ოპეკის წევრ სახელმწიფოებს შორის, ნავთობის ექსპორტის ინდიკატორით მსოფლიოში მეორე ადგილზე იყო, თუმცა მან ეს ლიდერობა ომის დაწყების პირველივე ეტაპზე დაკარგა. შედეგად, ერაყი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დადგა.

საკვანძო სიტყვები: ჰოლანდიური დაავადება, სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოები, ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ენერგორესურსების ექსპორტი.

შესავალი

ტერმინი *„ჰოლანდიური დაავადება“* ეკონომიკაში ერთი სექტორის განვითარებასა და დანარჩენი სექტორების შემცირებას გულისხმობს. პირველად ტერმინი 1977 წელს გაზეთ *„ეკონომისტში“* გამოჩნდა, რაც ჩრდილოეთის ზღვაში გაზის დიდი საბადოს აღმოჩენას უკავშირდება. ამის შედეგად გაიზარდა ენერგო-რესურსების ექსპორტი, შესაბამისად სხვა სექტორებიდან შემოსავლები შემცირდა, ზოგიერთი სექტორი კი საერთოდ გაქრა ეკონომიკიდან (The Economist Newspaper 1977).

XX საუკუნეში ნავთობი მსოფლიო ეკონომიკის სტრატეგიულ ნედლეულად იქცა, შედეგად სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ეკონომიკა დამოკიდებული გახდა ენერგორესურსების ექსპორტსა და მისგან მიღებულ შემოსავლებზე. XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან სპარსეთის ყურის

არაბული ქვეყნების ეკონომიკა საგრძნობლად გაიზარდა, რაც ენერგორესურსების დიდი რაოდენობით ექსპორტის შედეგია (გაჩეჩილაძე 2011: 52).

დივერსიფიკაციის საკითხიც დღის წესრიგში XX საუკუნის 70-იან წლებში დადგა. შეიქმნა ენერგოსექტორთან დაკავშირებული ინდუსტრიული სფეროები. ამ ქმედებამ ჩაანაცვლა ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი - მომპოვებელი ინდუსტრია კაპიტალტევადი და ენერგოტევადი ინდუსტრიით, როგორიცაა ქიმიური ნივთიერებები, ფოლადი და ალუმინი. ყურადღება დაეთმო სამშენებლო სექტორს, თუმცა ასეთი ძალისხმევის მიუხედავად, ეკონომიკური სტრუქტურა არ შეცვლილა. (იხ. გრაფიკი #1).

სახელმწიფოებში შეიქმნა ეკონომიკური ხედვები და ეროვნული განვითარების სტრატეგიები, რომელთა მთავარი მიზანიც ექსპორტის დივერსიფიკაციასა და მომსახურების სფეროს განვითარებას უკავშირდება. ეროვნული ხედვა ფოკუსირებულია იმ ძირითად საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის სოციალური განვითარება, გარემოს დაცვა. ეს კი ის საკითხებია, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მდგრად განვითარებას (Mishrif 2018:3).

ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილების ტემპი სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოებში შეზღუდულია. ამის მთავარი მიზეზი ენერგორესურსების სექტორზე მკვეთრი დამოკიდებულებაა. ასეთი ტიპის ეკონომიკები მოწყვლადია სამხედრო კრიზისის ან საერთაშორისო შოკების ფონზე. მაგალითად, ირან-ერაყის ომის დაწყებამდე, ერაყი, ოპეკის წევრ სახელმწიფოებს შორის, ნავთობის წარმოების სიდიდით მეორე ადგილზე იყო, თუმცა მან ეს ლიდერობა ომის დაწყების პირველივე ეტაპზე დაკარგა. ერაყი დადგა ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, ის ვეღარ ამუშავებდა ნავთობს (Byrne, 2013: 59).

სპარსეთის ყურეში განვითარებულმა მოვლენებმა ეკონომიკური დივერსიფიკაციის საკითხი უკვე პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვან ფაქტორად აქცია. არამდგრადი ეკონომიკური სტრუქტურის გამო, რეგიონის თითოეული ქვეყანა მსოფლიოში ნავთობის ფასების რყევის გავლენით უარყოფით შედეგებს განიცდის (ზოგჯერ დადებითსაც, თუმცა ეს მხოლოდ შემოსავლის ოდენობაზე აისახება). მაგალითად, ენერგორესურსებიდან გენერირებული თანხებით სპარსეთის ყურის არაბულმა სახელმწიფოებმა ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციები განახორციელეს. თუმცა განხორციელებულმა პროექტებმა შეუმჩნეველი როლი ითამაშა სხვა სექტორების განვითარებაში, რადგან „ჰოლანდიური დაავადების“ გამოწვევები ძალიან რთულად დგას (Mishrif 2018:19). (გრაფიკი #1[1])



გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ The *Observatory of Economic Complexity (2024), Iraq; Kuwait; Oman; Qatar; Saudi Arabia, United Arab Emirates; - მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.*

1 გრაფიკში არ არის გათვალისწინებული ბაჰრეინი, ვინაიდან ბაჰრეინს არ გააჩნია დადასტურებული ენერგორეზერვების დიდი რაოდენობა.

გრაფიკებზე წარმოდგენილია 1995-2024 წლებში სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების ენერგორესურსების წილი ექსპორტში. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ სპარსეთი ყურის არაბული ქვეყნების ეკონომიკაში ენერგოექსპორტის წილი აღემატება 60%-ს. გამონაკლისია მხოლოდ გაერთიანებული არაბული საამიროები (გას). გას-ის მაჩვენებელი მიუთითებს ეკონომიკის დივერსიფიკაციის ტენდენციაზე. ის ერთ-ერთია მსოფლიოს 10 უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ სახელმწიფოთა შორის, რომელიც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მთავარი სავაჭრო და ფინანსური ცენტრი გახდა (U.S Energy Information Administration 2018).

მიუხედავად იმისა, რომ გას-ში შეინიშნება ეკონომიკის გაჯანსაღებისა და დივერსიფიკაციის ტენდენციები, იგი მაინც იმყოფება „ჰოლანდიური დაავადების“ გავლენის ქვეშ. თუმცა ყურის დანარჩენ არაბულ სახელმწიფოებში „ჰოლანდიური დაავადების“ საკითხი შედარებით მწვავედ დგას.

სპარსეთის ყურის რეგიონში წარმატებული ეკონომიკური დივერსიფიკაცია დამოკიდებულია სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზე, რათა განახორციელოს ფართობასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებები. დივერსიფიკაცია ენერგოსექტორის განვითარების პროცესში ითავსებს წამყვან როლს. ინვესტიციები, განახლებადი ენერგია, მწვანე ეკონომიკა, არის ის პროექტები რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკისა და ენერგოსექტორის დივერსიფიკაციას. საუდის არაბეთს, გას-ს, კატარს, ქუვეითს აქვთ მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის გეგმები, რომელიც უზრუნველყოფს დივერსიფიკაციაში ახალ შესაძლებლობებს, თუმცა მრავალწლიანი ტენდენციიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს პროექტები მითითებულ ვადებში განხორციელდეს.

დასკვნა

XX საუკუნეში სპარსეთის ყურეში აღმოჩენილმა საბადოებმა რეგიონის ეკონომიკური სურათი შეცვალა, რამაც შესაბამისად ქვეყნების ეკონომიკური ტრანსფორმაცია გამოიწვია.

სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური მოვლენები თვისებრივად ჰგავს XX საუკუნეში ჩრდილოეთის ზღვაში გაზის მდიდარი საბადოს აღმოჩენის შედეგად ნიდერლანდებში განვითარებულ მდგომარეობას. შესაბამისად, გამართლებულია ყურის არაბული სახელმწიფოების ეკონომიკის დახასიათებისას ტერმინის „ჰოლანდიური დაავადება“ გამოყენება.

ყურის ქვეყნებიდან უნდა გამოვყოთ გაერთიანებული არაბული საამიროები, რომელიც მსოფლიოს 10 უმსხვილეს ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, რეგიონის მთავარი სავაჭრო და ფინანსური ცენტრი გახდა. შესაბამისად გას-ში იკვეთება როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ტენდენციები, რათა მოხდეს ეკონომიკის გაჯანსაღება დივერსიფიკაციის გზით.

ერაყში „ჰოლანდიური დაავადების“ ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვს, ეკონომიკაში ენერგორესურსების ექსპორტის წილი 95%-ს აღემატება. ამის მიზეზი მხოლოდ ენერგორესურსებიდან მიღებული შემოსავალი არ არის. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილური გარემო ქმნის არამდგრად ეკონომიკას ქვეყანაში. ქუვეითის ეკონომიკაც დიდი რისკების ქვეშ დგას. სხვადასხვა რეფორმების მიუხედავად, ქუვეითში ეკონომიკური დივერსიფიკაციის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რაც შეეხება კატარის ეკონომიკას, ის ძირითადად ბუნებრივი რესურსების ექსპორტზეა დამოკიდებული. ომანის სასულთნოდან საერთაშორისო ბაზარზე ძირითადად გადამუშავებული ნავთობის პროდუქტები გადის, ბაჰრეინში ენერგორესურსების სიმწირის გამო, „ჰოლანდიურ დაავადებასთან“ დაკავშირებით დასკვნების გამოტანა რთულია. საუდის არაბეთის ეკონომიკაზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ იგი აჩვენებს გაჯანსაღების ტენდენციებს. ენერგოსექტორის შემოსავლების წილი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შემცირების ტენდენციას აჩვენებს. ეს არ უნდა იყოს აღქმული, თითქოს ენერგო-რესურსების ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი

მცირდება. უბრალოდ იზრდება სხვა სექტორებიდან მიღებული შემოსავალი, შესაბამისად მცირდება ენერგოსექტორის ექსპორტის წილი ეკონომიკაში.

ცხადია, რომ ენერგორესურსებზე დამოკიდებულებამ რეგიონის ქვეყნები დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა, დაზიანდა სხვა ეკონომიკური სექტორები და ბაზარზე გაჩნდა ვაკუუმები. სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოები ცდილობენ ეკონომიკის გაჯანსაღებას, თუმცა ამ ეტაპზე წარმატებით მხოლოდ გაერთიანებული არაბული საამიროები გამოირჩევა.